კეთესო პოეტის ვლადისლავ ხოდასევიჩის სანაქებო კრებული „ვარსკვლავიერი სვლა“. ხოდასევიჩის წიგნები შინაც საკმაოდ მაქვს; ყველაზე სრულია დიდი ფორმატის ერთტომეული „მერყევი სამყარო“ (1999), მაგრამ ამ კრებულმა (მასში ბევრი უცნობი ლექსია შეტანილი) უაღრესად მასიამოვნა და სამი თეთრი, ურითმო ლექსი, მაშინვე ვთარგმნე. მახსოვდა, რომ ამ მხრივ ყამირი გატეხა ჩვენმა ნიჭიერებით გამოჩენულმა პოეტმა და ლიტერატორმა ანდრო ბუაჩიძემ — ათი წლის წინ გამოსცა ხოდასევიჩის ლირიკის ოსტატურად, კეთილსინდისიერად თარგმნილი წიგნი. შევეცადე, ჩემი უმცროსი მეგობრისთვის მხარი ამეხა და გადავწყვიტე, ახალთარგმნილი ლექსები გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისთვის“ შემეთავაზებინა.

ამჟამად კვიტიშვილი

12 თებერვალი, 2024

რედაქცია სიამოვნებით ასრულებს ჩვენი სასიძაფულო პოეტის და მთარგმნელის თხოვნას.



ვლადისლავ ხოდასევიჩი



უუადლე

ბულგარი მშვიდი და ნათელი, თვლელა გერევა! სილა, ქარისგან ახვეტილი, გაქანდება და საგარცხელივით წაეხვევა, აცვივა ბალახს... ამჟამად ძალზე მსიამოვნებს აქ მოსვლა მარტოს და დიდხანს ვზივარ, სანახევროდ ფიქრში წასული. მომწონს, თითქმის არ ვიყურები და ისე მესმის სიცხელი, ხანაც წატირება ბავშვების, მერე ბილიკზე სალტეს რომ დასდევენ. მშვენიერია! ხმაური მათი, ისეთივე მარადი, წრფელი, როგორც წვიმისა, წყლის მოვარდნა, ქშედილი ქარის.

არავინ მიცნობს იმათთაგან. მე სულ უბრალო გამვლელი თუ ვარ, აქ მოსახლე, „ბატონი“ ვინმე, მრგვალიქუდახურულს, ყავისფერი მაცვია პალტო, არაფრით არ გამოვირჩევი. უეცრად გვერდზე, გადაშლილ წიგნით ქალიშვილი მომიჯდა, ბიჭმა, მცირე ვედროთი, აქანდაწით, სულ პატარაოთი, მოიკალათა ჩემს ფეხებთან. წარბი შეჭმუნა, როცა დაიწყო ქექვა სილის, ისე ვეება გამოვჩნდი უცებ მის მახლობლად, მყის გამახსენდა, თვით როგორ ვიჯექი ლომის სვეტთან ვენეციაში. ამ პაწია სიცოცხლის ზემოთ, მისი ასევე ციცქნა, მწვანე კარტუზის თავზე, ვმალდები, როგორც მძიმე ლოდი, უზარმაზარი, მომსწრემ მრავალი საუკუნის, უამრავ ხალხის, სამეფოების, დიადემანების და გმირობათა. ხოლო ყმაწვილი საქმიანად ავსებდა ვედროს, აყირავებდა, გულმოდგინედ მაყრიდა მერე სილას ფეხებზე, ფეხსაცმელზე... მშვენიერია!

მშვენიერ გუნებაზე მყოფი, ვზივარ, ვიხსენებ, შუადღე რარივ მაცხუნებდა ვენეციისა, ჩემს თავზე რარივ ნავარდობდა, გაუტოკებლად, ფრთიანი ლომი და თათებში წიგნი ეჭირა, ლომის ზემოთ კი მომრგვალდა და მოვარდისფერო რბოდა ღრუბელი. ყველაფერზე მაღლა, სულ მაღლა — მუქი სილურჯე, მის წიაღში უხილავი და აღდახვეული ვარსკვლავები დასრიალებდნენ. ახლა ისინი ამ ბულგარის თავზე ელავენ, ბიჭუნას და მე დაგვეყურებენ. გაშმაგებულად ებრძვიან მზისას მათი სხივები...

ქარი კვლავ უტევს, აშრილებს ტალღებს სილისა, ფურცლავს გოგონას გადაშლილ წიგნს. ხოლო რაც მესმის, გარდასახული აუხსნელი რამ სასწაულით, ისე სავსედ და ერთიანად მეღვრება გულში,

არც სიტყვები და არც აზრები აღარ მჭირდება, თითქოს და ჩემს თავს ჩაბრუნებულ მწერას მივაბყრობ და ვაკვირდები. სულის ცინცხალი სინოტივე რა წარმტაცია, ნარცისის დარად, წამში მიწის მოვწყდები ნაპირს, მივექანები, მივფრენ, საცა მართო ვიქნები, იმ თავდაბირველ და მშობლიურ ჩემს სამყაროში, პირისპირ ჩემი არსებისა, რომ დავკარგე და ვიბოვე ისევ... ძლივს გასაგონად, ხმა ჩამესმება ქალიშვილისა: „მამაბაბიო, რომელი საათია?“

19 აპრილი — 1 მაისი, 1918

უხვპერა

დილაადრიან, ტაძართან წმინდა მარგარიტასი, მე შევხვდი იმას. ბოგირზე იდგა, ზურგშექცეული. ნაცრისფერ ქვაზე თითები, ვარდის ფურცლების, დარი, მსუბუქად ეწყო. თეთრი კაბის ქვეშ, შეტყუებული მუხლები მკრთალად ილანდებოდა... ვის მოელოდა? თექვსმეტი წლისას, უმშვენიერეს ინგლისელ გოგოს ვინ მოეზმანა ვენეციაში? არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე. არა უაზრო ვარაუდთათვის, დღეს გამახსენდა მე ის გოგონა. მზენასხურები, იდგა მართო და პანამის ქუდის რბილი ფარფლები, მაღლა შემართულ მხრებს ესებოდა — საამო ჩრდილი ფარავდა სახეს. ცისფერ, კამკამა ნათელს აფრქევდა, ისეთს, როგორსაც გრილი ჭავლები, მთის მდინარისა, სწრაფად, ჟღერტულით, ქვის ფსკერზე მსრბოლი... ო, სწორედ მაშინ ვიხილე მწერა, ენით უთქმელი, რომლის დანახვაც პოეტებს მხოლოდ ერთხელ თუ გვიწევს და მუდამ გვახსოვს. წამიერია ეს მოვლინება მიწაზე, ღვთიურ დავანებისა, შემთხვევით ლაფვარდოვან თვალეში. ხომ დანავარდობს მასში ქარცეცხლი, ხომ იგრავნება გრივადი ღურჯი, რომლებიც მერე შემეხმინა მზის ნათებაში, დგაფუნში შავი გონდოლებისა, მტრედის მიმქროლავ ჩრდილში, ნაკადში წითელი ღვინის. გვიან საღამოს, დაბრუნებისას, მე ამაზევე ჩამწურჩულვება ბაკუნი ვენეციელ ქალების, ჩემი ნაბიჯიც გამოიკვეთა, გახდა მსუბუქი, სწრაფი. საითკენ გაფრინდა გული იმ წამს, როდესაც მე გასაღები მძიმე, საკეტში, ზამბარის ხმაზე, დავატრიალე? ის როგორ მოხდა, ცივი წინკარის ზღურბლს როცა გავცდი, მერე, წკვარამში, ქვის ცისტერნასთან, რატომ ვიდექი ეგზომად დიდხანს? ხელის ცეცებით ავეყვი კიბეს, ტრფობა დავარქვი ფორიაქს ჩემსას. ახლა კი ვიცი,

იმ დღეს მე შუმი ღვინო მოვწრუპე — ვგრძნობდი, ბაგეებს შერჩა იმისი ხანმოკლე გემო. თრობა მარადი მერე მეწვია.

13 მაისი 1918

მაიმუნი

სიცხე საშინელი. ტყეს ცეცხლი ეკიდა. დრო ზღაზვნით დიოდა. იქვე, აგარაკზე, ყიოდა მამალი. ქიშკარი შევალე. მესერს მიყრდნობილი სერბი მაწანწალა, ძელსკაშე ყვინთავდა, ხმელი, შავგვრემანი. ვერცხლის მძიმე ჯვარი შიშველ და გაოფილ გულ-მკერდზე ეკიდა. ზემოთ, ღობის თავზე, იჯდა მაიმუნი, წითელკაბიანი, ფოთლებს, იასამნის, დამტვერილს, ხარბად და ცმაცუნით ღეჭავდა. ტყავის საყელური უკან დაექანა მძიმე ჯაჭვს, რომელიც ხორხზე აწევებოდა. ფეხისხმა მოესმა, სერბი გაბოფხიწლდა, თვლი შეიმშრალა და წყალი მომთხოვა. ოდნავად კი მოსვა, ცივი თუ არისო და ჯამი სკამზევე რომ დადგა, მაშინვე ჩაყო მაიმუნმა თითები წყალში და ჯამი აიტაცა, ხელით ორივეთი, სვამდა დათთხილი, სკამზე დაყრდნობილი ჰქონდა იდაყვები, ცოტაც და, ნიკაბი ფიცრებს დასწვდებოდა, ზურგი მოდრეკოდა, მომალლოდ, ზედ მელოტ თხემთან დაეხარა. ვინ იცის, ასევე იყო დამხობილი მეფე დარიოსი, გზისპირა გუბესთან, როცა გამოექცა იგი ალექსანდრეს უძლეველ ფალანგას. მოლად რომ ამოხაპა წყალი მაიმუნმა, ჯამი მოისროლა სკამიდან, წამოდგა, ნუთუ მე იმ წამის შევძლებ დავიწყებას? შავი, დაკოჟირილი და გრილი ჯერ კიდევ, სითხისგან, მარჯვენა მან გამომიწოდა. რამდენი ლამაზმანის, რამდენი პოეტის, ხალხის ბელადების ხელი მჭერიდა და იმათგან არცერთის ხელს არა ჰქონია მსგავსი სინატიფე. ხელი არავისი, ჩემს ხელს, ასე ძმურად, ჯერ არ შეხებია. ღმერთია მოწამე, არვის ჩაუხედავს მისებრ ღრმად და ბრძნულად, დღემდე, ჩემს თვალეში, ვფიცავ, ქეშმარიტად, თვით სულის ფსკერამდე. დროის, უშორესის, ზღაპრები, უტკების, მხეცმა, უბოვარმა, ხელად მაგრძნობინა და ასე მეგონა, რომ გუნდ ვარსკვლავთა, ტალღების ზღვისა და სფერო და მუსიკა, ორდონოს გრილით, ქართა მოძახილით, ყურში შემომეჭრა, მე, ადრინდელივით, როგორაც იმ ნეტარ, უხსოვარ დღეებში.

წავიდა სერბი და თარს აფლრილვება. მხარზე, მარცხენაზე, ეჯდა მაიმუნი, იგი ირწეოდა ნარნარად, მსუბუქად ისე, ვით სპილოზე ინდო, მაჰარაჯა. მზე ვეებერთელა, მნათი ჟოლოსფერი, სხივებშემოცლილი, კვამლში გახვეული ეკიდა და ყანას ხორბლისას, დაგვალულს, ჩუმ აღმურს აღვრიდა.

იმ დღეს იყო, ომი რომ გამოაცხადეს. 7 ივნისი, 1918, 20 თებერვალი, 1919

ჯოჯოხეთია მოსაგონებლად...



ილია ივანოვი

თუ შესაბამის ლიბერალურად გადავხედოთ თვალს, ვნახავთ, რომ ზეადამიანის შექმნის იდეა მეცნიერებს, თითქმის, არცერთ ეპოქაში, არ აძლევდა მოსვენებას, რისთვისაც, ჩვეულებრივ მოკვლე-ვემზე, ათასწლიანი უცნაური და, შეიძლება ითქვას, არაადამიანური ექსპერიმენტები ტარდებოდა. პრაქტიკა მხოლოდ ნიურნბერგის ცნობილი პროცესის შემდეგ შეჩერდა, თუმცა, მეცნიერული ცნობის-მოყვარეობა არ დამცხრალა და ექსპერიმენტი გრძელდება. მიჩნე-ულია, რომ, ამ დარგში, თავისი დაუნივრთა და სისასტიკით, მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში, საბჭოთა და ნაცისტური მეცნიერები გა-მოირჩეოდნენ.

მაგალითად, რუსი ბიოლოგი ილია ივანოვი, რომელიც, თავის კვლევითა ხასიათის გამო, ისტორიის სამჭოთა ფრანკენშტეინის სახელით შემოიწია. დარვინის თეორიის და-სამტკიცებლად და ზეადამიანის გა-მოსაყვანად, ის ადამიანისა და ცხო-ველის, მათ შორის, მაიმუნის შეკ-ვარებას ცდილობდა. ივანოვის მე-ცნიერულმა იდეებმა ფართო გამოხ-მაურება ჰპოვა მაშინდელ საბჭოთა ხელმძღვანელობაში. მთავრობამ მას

დახმარება აღუთქვა. ივანოვი, მკვლე-ვართა ჯგუფთან ერთად, აფრიკაში გაემგზავრა, სადაც, ადამიანისა და მაიმუნის შეკვარება სცადა, შეუდ-ვა რა მაიმუნის ხელოვნურ განაყო-ფიერებას ადამიანის სპერმით. უფ-რო მეტიც, მაიმუნის სპერმით ქალის განაყოფიერებას მიაღწია, მაგრამ, ამის უფლება არ მისცეს. ეთიკის სა-კითხი იყო! თუმცა, ივანოვმა მაინც დაარღვია ეთიკის ნორმები, და ად-გილობრივი პაციენტი ქალების ხე-ლოვნური განაყოფიერება დაიწყო, რომელთაც, აძინებდა, თურმე.

ამავე ადგილობრივი მამაკაცების ყურამდე მივიდა და რუსი ექიმები ძლივს გადაურჩნენ სიკვდილს. ქა-ლებს კი, მათთან მიღებაზე მისე-ლა აუკრძალეს. აი, ასეთი კრახით დამთავრდა ივანოვის აფრიკული ექ-სპერიმენტი. მეცნიერი სამშობლოში დაბრუნდა და საბჭოთა მთავრობამ მისი დახმარება განაგრძო. წარმო-იშვა მაიმუნების ინკუბატორის შექ-მნის იდეა, სადაც ცდები გაგრძელ-დებოდა. ადგილი ინკუბატორისთ-ვის ქალაქ სოხუმიში გამოიყო, სა-დაც, ივანოვმა ხუთ ქალზე ჩაატა-რა ცდა. ქალების ზედი უცნობია, მაგ-რამ ცნობილია ის, რომ ცდებმა ისევე ფასაკო განიცადა, თუმცა, გამოხდა ხანი და ივანოვის ექსპერიმენტმა დი-დი მოწონება ჰპოვა ნაცისტებში. მათ საკუთარ ექსპერიმენტებს მოჰკიდეს ხელი, ივანოვი უკან ჩამოიტოვეს ად-ამიანის მიმართ არაადამიანურ მოკე-

რობაში. გერმანულ საექსპერიმენ-ტო სისტემას ექიმი-მეცნიერი, იოზეფ-მენგელე ჩაუდგა სათავეში, რომელ-საც სიკვდილის ანგელოზი შეარქ-ვეს. მენგელე, თავის ჯგუფთან ერ-თად, საკონცენტრაციო ბანაკში ატა-რებდა სასტიკ ექსპერიმენტებს, რო-მელთაც ერო-ერთი იყო ტყუპე-ბის კვლევა. მისი ბრძანებით, სა-კონცენტრაციო ბანაკში ტყუპებს აგ-როვებდნენ, რომლებზეც, ის ცდებს ატარებდა. 3000-მდე ტყუპი შეავსო-ვა, რომელთაც სხვადასხვანაირი ოპერაცია უტარდებოდათ. ყველა-ზე სასტიკი იყო სიამის ტყუპების ხე-ლოვნურად შექმნის მცდელობა. ერ-თი ჯანმრთელი ტყუპი ერთმანეთს მიაკერეს. ტარდებოდა სხვა სასტიკი ცდებიც. მაგალითად, ადამიანის მიერ ტკივილის გამძლეობის გამოსაკვ-ლევადაც, მენგელე პაციენტებს, ქი-რურგიული ჩარევის გზით, აჭრიდა ძვლების, კუნთებისა და ნერვების ნაწილს, ზოგჯერ, მთლიან კიდუ-რსაც, და ეს ყველაფერი, ანესთეზიის გარეშე. ზოგს, ადამიანის გაყინვის პროცესის დასაკვირვებლად, საყი-ნულებში ამყოფებდნენ. ბანაკის ქა-ლებს ხელოვნურად ანაყოფიერებ-დნენ ან სტერილიზაციას უკეთებდნენ.

ამდგვარი ექსპერიმენტების ძალიან გრძელი სია არსებობს. მე-ორე მსოფლიო ომის დროს, ასე-თივე სისასტიკით გამოირჩეოდა იაპონიაც. იაპონურ არმიამ არსე-ბოვდა სამეცნიერო დანაყოფები, რო-მელიც სასტიკ ცდებს ატარებდა ტყე-ვებზე. ასეთი იყო დანაყოფი 731, რო-მელსაც იაპონიის შეიარაღებული ძალების სპეცნაზში ეწოდა ბიოლო-გიური იარაღის კვლევის სფერო-ში. რაზმს ექსპერიმენტულად უნდა დაედგინა ადამიანის სიცოცხლის ვა-დები ისეთ ფაქტორთა გავლენის ქვეშ, როგორიცაა შიმშილი, უწყლო-ბა, ადამიანზე მდლარე წყლის მოქ-მედება, უძილობა და სხვა. მე-20 საუკუნის დასაწყისში, თითქმის, მთელს მსოფლიოში მძვინვარებდა სიფილისი, რომელმაც მილიონო-



მით ადამიანი შეიწირა. სიფილისის განსაკუთრებულად, ზოგიერთი ექი-მი-მეცნიერი არაეთიკური ექსპერი-მენტების ჩატარებასაც კი არ თავი-თიშებდა. მაგალითად, 1930-იან წლებში, ამერიკის შტატ ალაბამას ქალაქ ტასტეხში, 600 უღატაკეს შავ-კანიანზე ჩატარდა ექსპერიმენტი. ექი-მები აკვირდებოდნენ სიფილისის ზე-მოქმედებას ადამიანზე, თუმცა, მათ-გან ფარული ხერხებით. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემ-დეგ, აიკრძალა ასეთი ექსპერიმენ-ტები, თუმცა, გასაიდუმლოებულად, ზოგიერთი ქვეყანა მაინც განაგრძო-და ამ საქმეს.

მაგალითად, საბჭოთა კავშირს ჰქონდა შხამების ლაბორატორია. შხამებს მძიმე დამნაშავეებზე ცდილ-ნენ, რასაც ნერვული პარალიზების ეფექტი ჰქონდა: შხამის მიმღები მძიმე კონვულსიებით კვდებოდა. ამე-რიკის არმიამ, მარშალის კუნძულებ-თან ახლოს, ატომური ბომბი გამოს-ცადა, რის გამოც კუნძულზე მეგრ-მა მცხოვრებმა მიიღო რადიაციუ-ლი დასახიფება. მოგვიანებით, გადაწყ-და უკვე-დასახიფებულ ადამიანებზე რადიაციისთან დაკავშირებული ცდე-ბის ჩატარება. მე-20 საუკუნის 60-იან წლებში, ამერიკის დაზვერვა, სინ-თეტიკური ნარკოტიკების საშუალე-ბით აწარმოებდა ცდებს ადამიანებზე, რომლის მიზანი ადამიანის გონების მანიპულაცია იყო. მონაწილეებს რამ-დენიმე თვის განმავლობაში აძლე-დნენ ნარკოტიკ „ელ-ეს-დეს“. ნარ-კოტიკის მიმღებნი ფსიქო-ნევრო-ზულმა დაავადებამ შეიპყრო.

ფიზიოლოგიური ექსპერიმენტე-ბის გარდა, მეცნიერები, ადამიანებზე ფსიქოლოგიურ ცდებს ატარებდნენ. თითქმის, ყველა ეს ექსპერიმენტი,

დღეს, არაეთიკურად ითვლება და აკრძალულია.

1920 წელს, ამერიკელმა ფსიქო-ლოგმა ჯონ-უოტსონმა, გასართობი, მაგრამ არც თუ ძალიან გამართლე-ბული ექსპერიმენტი ჩაატარა ერთი წლის ბავშვზე. იმის გათვალისწინე-ბით, რომ უოტსონმა ცდა ქვეყისკენ მიმართა და არა ცნობიერებისკენ, ექ-სპერიმენტი გარკვეულწილად პავლო-ვის ცნობილ ცდებს მოგვაგონებდა პი-რობითი რეფლექსების შესწავლაზე. უოტსონი ცდილობდა გაერკვია, თან-დაყოლილია თუ არა, ბავშვის შიში ზოგიერთ ხმაზე. ყველაზე ცნობილი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი, 1971 წელს, ექიმმა ფილიპ-ზიმბარდმა ჩა-ატარა, რომელსაც სტენფორდის ციხის ექსპერიმენტი უწოდეს. ოცდაათი მო-ხილსე ორ ჯგუფად იყო დაყოფი-ლი, მცველებად და პატიმრებად. ისინი ციხის იმიტაციურ პირობებში ჩააყე-ნეს. ექსპერიმენტი, თავდაპირველად, ორ-კვირიანი უნდა ყოფილიყო, მაგ-რამ, ზიმბარდმა იძულებული გახდა, ექვსი დღის შემდეგ შეეწყვიტა, რად-გან, სიტუაცია კონტროლიდან გა-მოვიდა. ზედამხედველებმა, ჩაიგ-დეს თუ არა ხელში ძალაუფლება, პატიმრების აქტიური ჩაგვრა დაიწყეს: ცემა, დაშინება, დათრგუნვა და შე-ვიწროება. რიგით ადამიანებში, სა-ლისტურმა ტენდენ-ციებმა იმდენად მომენტალურად იჩინა თავი, რომ ზიმბარდის სიტუ-აციის შესაცვლელი დროც არ დარჩა...



ნუზარ ზ. რუხაძე
POSTV

უკრაინა მიიმა მდგომარეობაში - ამაზე დასაპლეთიც ალაპარაკდა

ომის დაწყების მერვე წლისთავე უკრაინა იმაზე უფრო სახიფათო მდგომარეობაშია, ვიდრე ერთი წლის წინ იყო - ამის შესახებ გამოცემა The Times-ი წერს.

„მიმდინარე კვირაში, ომის დაწყების მერვე წლის-თავე უკრაინა იმაზე უფრო სახიფათო მდგომარეობა-შია, ვიდრე ერთი წლის წინ იყო. რამდენიმე მძიმე მარცხმა - კერძოდ, ზახუტემა, კონტრიერების ჩაგარდნამ და ავ-დევეკაში რუსული ჯარის შესვლამ ბოლო 12 თვის მიღ-წევები დაჩრდილა. 2024 წელი კიევისთვის დასავლე-ლი მოკავშირეების სანდოობასთან დაკავშირებით შექ-მნილი გაურკვევლობით დაიწყო. აშშ-ს ჯერაც არ და-უმტკიცებია უკრაინის დახმარების პაკეტი, ზელენსკიმ მო-ულოდნელად შეცვალა მთავარსარდალი, რუსეთი კი ფრონტის მთელ ხაზზე შეტევებზე გადადის“, - წერს გა-მოცემა.

The Times-ის მტკიცებით, ბრძოლის ველზე სიტუაცია რუსეთის სასარგებლოდ შეიცვალა.

„თუ უკრაინას ჰქონდა ასიმეტრიული წარმატებები კონ-ფლიქტის სხვა მიმართულებებით, კერძოდ, შავ ზღვა-ზე რუსული გემების წინააღმდეგ დრონების გამოყენე-ბის მხრივ, პირველ რიგში, ომი მიდის ტერიტორიის გარ-შემო და მასში იმარჯვებენ ან მარცხდებიან შეიარაღე-ბული ადამიანები. თუ ცოცხალ ძალასთან დაკავშირე-ბული პრობლემები მალე არ მოგვარდა, ჯარისკაცების დეფიციტი ზღვაზე უკრაინის მიერ მიღწეულ წარმატე-ბას ფასს დაუკარგავს.

რუსეთმა აღადგინა თავისი სამხედრო პოტენცია-ლი. რუსული სამხედრო სამრეწველო კომპლექსი უს-წრებს უკრაინის დასავლელ მოკავშირეებს შეიარა-ღებისა და ჯურების მიწოდების მხრივ. მეტიც, ბო-ლო წელწადში რუსეთმა ფრონტზე 300 000-ზე მე-ტი „მოხალისე“ გაგზავნა, უკრაინა კი ცდილობს, ფრონ-ტზე მომზადებული ადამიანები გაგზავნოს“, - აღ-ნიშნულია სტატიაში.



უკრაინაში უკლებს სურს რუსეთის დაბრუნება, მაგრამ ეს შეუძლებელია!!!

„უკრაინის მხარდაჭერა ევროპელებს შორის კვლა-ვაც მტკიცება, მაგრამ რუსეთი უკრაინაში ფართომასშ-ტაბიანი შეჭრიდან ორი წლის შემდეგ ევროპელების მხო-ლოდ ათ პროცენტს სჯერა, რომ უკრაინას რუსეთის და-ბრუნებაა ძალუძს. კვლევის მიხედვით, ომის დასრულებას გამოკითხულთა უმეტესობა რაიმე სახის „კომპრომისულ შეთანხმებაში“ ხედავს“, - ნათქვამია „გარდიანში“ გამოქ-ვეყნებულ სტატიაში.

„გარდიანი“ წერს, რომ ევროპელების განწყობების ცვლი-ლება იმის ნიშანია, რომ პოლიტიკოსები უფრო მეტად „რე-ალისტურად“ უნდა მიუდგნენ იმის განსაზღვრას, რა შეიძლება იყოს „მისაღები მშვიდობა“. ამავე კვლევის მიხედვით, „უფრო მეტ ევროპელს სურს რუსეთის გამარჯვების პრევენცია“, მაგრამ მათ არ სჯერათ, რომ უკრაინას ეს სამხედრო გზით შეუძლია. „გარდიანის“ ცნობით, კვლევა ევროკავშირის 12 წევრ ქვეყანაში ჩაატარეს, მათ შორის საფრანგეთში, გერ-მანიაში, უნგრეთში, იტალიაში, ნიდერლანდებში, პოლონეთსა

და შვედეთში. კვლევის მიხედვით, ათი გამოკითხული ევ-როპელიდან მხოლოდ ერთს სჯერა, რომ უკრაინას ბრძოლის ველზე რუსეთის დამარცხება ძალუძს. ამასთან, კვლევა-ში მონაწილეთა 20% რუსეთის გამარჯვებას პროგნოზი-რებს. რესპონდენტთა 37%-ს მიაჩნია, რომ ომი უკრაინა-ში კომპრომისული შეთანხმებით დასრულდება.

ამასთან, შვედეთში, პორტუგალიასა და პოლონეთში გამოკითხულთა უმეტესობა ამბობს, რომ ევროპა უნ-და დაეხმაროს უკრაინას რუსეთის აგრესიაზე პასუხის გაცემაში. უნგრეთში, სამერძენთში, იტალიასა და ავს-ტრიაში კი რესპონდენტები უფრო მეტად მხარს უჭე-რენ კიევზე ზემოქმედებას, რათა უკრაინა შეთანხმებას დათანხმდეს.

რუსეთი კოსმოსში აპოთეზს იბას, რასაც აშშ და სხვა ქვეყნები!

„მლუშმარგის“ ცნობით, აშშ-მა მოკავშირე ქვეყნებს გა-ნუცხადა, რომ რუსეთმა, შესაძლოა, კოსმოსში წლის ბო-ლომდე განათავსოს ანტისატელიტური ბირთვული იარაღი.

როგორც გამოცემა თავის წყაროებზე დაყრდნობით წერს, თანამგზავრების დაზიანების მიზნით, რუსეთი ავი-თარებს კოსმოსურ შესაძლებლობებს ბირთვული იარა-ღის გამოყენებით. ამავე დროს, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რუსეთი არ გეგმავს ამ იარაღის გამოყენებას, მაგ-რამ არსებობს უმეტესი შემთხვევის რისკი, რის შედე-გადაც, შესაძლოა, ბირთვული აფეთქება გავრცელდეს თა-ნამგზავრების დაახლოებით მესამედზე და დაზიანოს სა-კომუნიკაციო სისტემები დედამიწაზე.

რუსეთი აშშ-ის განცხადებებს განიხილავს, როგორც მცდელობას, დაარწმუნოს რესპუბლიკელები კონგრესში, დაამტკიცონ პროექტი უკრაინის დახმარებისთვის. ამას-თან, რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი კოსმოსში ბირთვული იარაღის განლაგე-ბას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. „ჩვენ კოსმოსში ვა-კეთებთ მხოლოდ იმას, რასაც სხვა ქვეყნები, მათ შო-რის, აშშ“, - განაცხადა პუტინმა.

⊙ გატუგა სტომა

აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში 23-25 თებერვალს ბატუტზე მსტომელთა მსოფლიოს თასი გათამაშდება, სადაც პარიზის ოლიმპიადის სალიცენზიო ქელების მოპოვება იქნება შესაძლებელი. ტურნირში საქართველოს ოთხი სპორტსმენი ჩაებმება: სამი ოლიმპიადის მონაწილე და ფინალისტი ლუბა გოლოვინა, სინქრონულ ხტომებში მსოფლიოს თასის მფლობელები – თეონა ჯანჭღაია და ანანო აფაქიძე, ასევე, ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი მარიამ რაგიმოვა.

საქართველოს ეს ნაკრები გუნდურ ჩათვლაში მსოფლიოს მესამე პრიზიორი და ევროპის ვიცე-ჩემპიონია. აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიოს თასზე რუსუდან ხოფერიაძე მიიწვიეს, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებში მსაჯობის უფლება მესამედ მოიპოვა.

სანამ უფროსი თაობის წარმომადგენლები მნიშვნელოვანი ფორუმისთვის ემზადებოდნენ, ბაქოში ახალგაზრდა ბატუტისტებმა გამოსცადეს ძალები. შეჯიბრებაში საქართველოს, აზერბაიჯანის, ლატვიის, ყაზახეთისა და უზბეკეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. თბილისის მერიის, გორის მუნიციპალიტეტის, აჭარის სპორტის სამინისტროს და სპორტის დეპარტამენტის თანადგომით ბაქოში საქართველოს ნაკრები 28 სპორტსმენით გაემგზავრა, რომელთა მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვით მწვრთნელებს - ზურაბ კიკნაძეს, როზა ბერიკაშვილს, ირმა სოლოლაშვილს, ინგა მენთეშაშვილს, ანაიდა ლეონტიევას, ლია ხრიკულს, სალომე ბოდაველს, ხათუნა კოკობინაძეს, რუსტამ კალოევსა და ნაზმიე ასკეროვას.

სხვადასხვა ასაკში ჩვენმა სპორტსმენებმა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს რამდენიმე მედალი მოიპოვეს. 17-წლამდელთა სინქრონულ ხტომებში კვარცხლბევის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ დი-



ნარმატებული სტარტი და ბრძოლა ლიხენსტეინის

ანა ფოთელიძე (ბათუმი) და ნინო ქორიძე (თბილისი), მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებში). ამავე ასაკის სპორტსმენთა ინდივიდუალურ ხტომებში ფოთელიძემ მესამე ადგილი დაიკავა.

16-წლამდელი გოგონების ინდივიდუალურ ხტომებში პირველობა არავის დაუთმო ახალგაზრდებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა (სინქრონულ ხტომებში) მაია ბოჭორიძემ, ხოლო მეორე ადგილი ნინო ქორიძეს ხვდა. სინქრონულ ხტომებში მაია ბოჭორიძისა და ანა ლაიაშვილის დუეტის შედეგი სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. საულისხმოა, რომ ეს წყვილი ნინო ქორიძესთან ერთად წლეულს აპრილში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში იასპარეზებს.

ბაქოში 16-წლამდელ ვაჟთა ინდივიდუალურ ხტომებში უძლიერესი იყო ცოტნე ჩხაიძე. მან მეწყვილე ლუკა ლომთათიძესთან ერთად სინქრონულ ხტომებშიც პირ-

ველი ადგილი დაიკავა. საქართველოს ნაკრების მესვეურთა გადაწყვეტილებით, ეს წყვილიც ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის მოემზადება.

12-წლამდელ გოგონათა ინდივიდუალურ ხტომებში კვარცხლბევის სამივე საფეხური საქართველოს წარმომადგენლებმა დაიკავეს: 1. ელენე კირთაძე, 2. მარიამ გაბრიაძე (მარმანდელი მსოფლიოს პირველობის ფინალისტი, რომელმაც ყველაზე რთული ვარჯიში შეასრულა, მაგრამ საავადღებო ვარჯიშში დაშვებული შეცდომების გამო ოქროს მედალი დათმო), 3. ნინო უსუბიანი. სინქრონულ ხტომებში ოქროს მედალი ნინო უსუბიანისა და ქრისტინა პლეხანოვას დუეტს ერგო. ამავე ასაკის ვაჟებში დავით გაფრინდაშვილი მეორე ადგილზე გავიდა.

მარიამ ევაძე,
მაგი გვამის საერთაშორისო
შენიშვნისტიმის სტუდენტი

⊙ ჩეხიონთა ლიბა



გაუცვლელი არაპოინაა

ტრადიციულად, ნაპოლის ესპანურ კლუბებთან ღირსეულად გამკლავება ყოველთვის უჭირს – 17 მატჩში მხოლოდ 2 მოიგო, უკვე 5 ფრედ დაასრულა და 10 წაგო. არანაკლებ სავალალო სურათია მარსელონასთან ოფიციალურ შეხვედრებში, რომლებშიც ჯერაც არ მოუპოვებია გამარჯვება. ერთადერთი გამონაკლისია ამხანაგური სპარინგი.

ასეთ უხერხულ მეტოქესთან ნავის გატეხვა კრიზისულ სეზონში რომ ურთილესი საქმე იქნებოდა, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის წილისყრის შემდეგ ყველანი ვთანხმდებოდით და ასეც მოხდა მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად არც კატალონიური გრანდი ბრწყინავს, რის გამოც მისი თავკაცი ხავი უკვე ჩემოდნებს ალაგებს.

გასათვალისწინებელია მისი იტალიელი კოლეგის ფრან-

ჩესკო კალცონას ფაქტორიც, რომელიც საქმეს რამდენიმე დღის წინათ შეუდგა და მხოლოდ ორიოდ ვარჯიშის გამართვა მოასწრო.

ნაპოლი - ბარსელონა 1:1

გოლები: ლევანდოვსკი (მე-60 წთ), ოსიმენი (75-ე წთ).
ორივე კლუბის საკუთარ ფიგურის – დიეგო არმანდო მარადონას სახელობის სტადიონზე ტრავმების ეპიდემიით გაწამებული სტუმრები დროის უმეტეს ნაწილში საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ და მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ წარმატებასაც იმსახურებდნენ, მაგრამ სპორტი იმითაც გამოირჩევა, რომ ლოგიკა ყოველთვის ვერ გვიმოსს.

დიახ, კონტექსტიდან ამოვარდნილად გამოიყურებოდა, ტერ შეტევის კარში განხორციელებული ერთადერთი ზუსტი დარტყმა რომ საპასუხო გოლით დასრულდა უკვე შესაცვლელად გამზადებული ოსიმენის მიერ, რომელიც პარტნიორებს აფრიკის მომეცველი თასის გათამაშებიდან ახლახან შეუერთდა, მაგრამ ჩვენთვის კიდევ უფრო მოულოდნელი აღმოჩნდა მანამდე ცოტა ხნით ადრე მინდვრიდან ხვიჩა კვარაცხელიას გაყვანა, რასაც, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით კაპელოსა და კანავაროს მხრიდან გაოცებასთან ერთად ჩვენებურის მიმართ გამოთქმული კრიტიკაც მოჰყვა.

შუნებრივია, შეუცვლელი არავინაა და მწვრთნელი უპირველესად თვითონ აგებს პასუხს გადადგმულ ნაბიჯზე, ასე რომ, ამ შემთხვევაში კალცონას გაუმართლა, რადგან სწორედ ამის შემდეგ გადაარჩინეს ბრძოლა კამპანიელებმა, მაგრამ საყურადღებოა მატჩისმდებომ პრესკონფერენციაზე გაკეთებული მისეული კომენტარი, სადაც ერთის მხრივ, ხაზი გაუსვა კვარას დიდოსტატობას, მაგრამ იმავედროულად კონკრეტულად აღნიშნული შეხვედრის გამო უსაყვედურა.

რას ვიზამთ – წინ ურთულესი საპასუხო რაუნდია და იმედი დავიტოვოთ, რომ მანამდე პარტენოპეის ახალი დამრიგებელი ვითარებას სასიკეთოდ შეცვლის როგორც მთლიანად გუნდთან, ისე ცალკეულ სოლისტებთან მიმართებაში.

⊙ აპრობასკები

დანის ქალაქ ნესტვედში ჩასულმა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა პირველი ვარჯიში გამართა. ალექსანდარ პიპიჩმა ასისტენტებთან ერთად ჩვენი გუნდის წევრები მსუბუქად დატვირთა. მოედანზე არ ყოფილა ხისტი მოქმედებები, და ორმხრივი თამაში. სერგმა სპეციალისტმა კალათბურთელები ძირითადად სროლებში და კომბინაციითა ვირტუალური სქემების გათამაშებაში, ევრო-წოდებულ 5-0-ზე კომპონენტში ავარჯიშა.

ნაკრებში ამ ციკლში პირველად გამოიძახეს ბექა ბურჯანაძე, რომელიც დანიაში ჩასულმს სასტუმროში დახვდა. გუნდს ვარჯიშის დროს შეუერთდა ალექსანდარ

დღეს დანიაში



ჯიკიჩის ასისტენტი მანუჩარ მარკოვიშვილი, რომელიც ნესტვედში მონაკოდან ჩავიდა.

ნესტვედ-არენა მულტიფუნქციური კომპლექსია, სადაც უმეტესად კონცერტები, საზოგადოებრივი შეკრებები და სხვადასხვა სახის ღონისძიებები იმართება. 15 მარტს ნესტვედ არენაზე ამერიკის 44-ე პრეზიდენტს ბარაკ ობამას ელიან, რომელიც დაინტერესებულ დანიელებთან საჯარო ლექსიას გამართავს. საქართველოს ნაკრებმა მეორედ ოთხშაბათს, დილის 11:30 საათზე ივარჯიშა, რომელიც პირველი გენერალური სესია იყო დანიაში ჩასული ალექსანდარ ჯიკიჩის გუნდისთვის.

გერმანიის ეკონომიკა რთულ პირობებშია

გერმანიის ეკონომიკის მინისტრი რობერტ შაპევი აცხადებს, რომ ქვეყნის ეკონომიკა რთულ სიტუაციაშია.

შაპევის თქმით, გერმანიის მთავრობის პროგნოზი, რომ 2024 წელს ქვეყნის ეკონომიკა 1,3%-ით გაიზრდებოდა, არ გამართლდა და ახლა 0,2%-იან ზრდას ვარაუდობენ.

ეს ნიშნავს, რომ ევროპის უმსხვილესი ეკონომიკა, ფაქტობრივად, შეჩერდა, თუმცა სრულ რეცესიას გადაურჩა.

შაპევის განმარტებით, ეკონომიკური ვითარების გაუარესების მიზეზი არის ის, რომ გერმანიას რთული ვითარება შეექმნა უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, რადგან ქვეყნის ინტენსიური ენერგომრჩვეულობა რუსულ გაზზე იყო დამოკიდებული და გერმანიის ექსპორტზე დამოკიდებულების გამო ქვეყანა განსაკუთრებით დაუცველი გახდა გლობალურ ვაჭრობაში ცვლილებების მიმართ.

ეკონომიკის მინისტრი ასევე აღნიშნავს, რომ ქვეყნის ეკონომიკა მიგრანტის მუშების გარეშე დაიშლება.

ამასთან, გერმანიის ცენტრალური ბანკის, ბუნდესბანკის განცხადებით, ქვეყანა, შესაძლოა, რეცესიაში უკვე შევიდა. ბუნდესბანკის ყოველთვიურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ „სტრუქტურული ფაქტორები“, სავარაუდოდ, დარჩება და ეკონომიკური განვითარება, შესაძლოა, 2024 წლის პირველ კვარტალში ოდნავ შემცირდეს. ხოლო თანმიმდევრებით ორი უარყოფითი კვარტალი ქვეყნის ეკონომიკას ტენიკურ რეცესიაში შეიყვანს.

ანტიუკრაინული ლოზუნგები პოლონეთში

რომონს პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული, ფერმერების აქციების დროს გამოჩნდა ანტიუკრაინული ლოზუნგები, რომელთა უკანაც, შესაძლოა, რუსეთის სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლები იდგნენ.

„ჩვენი შეფასებით, ანტიუკრაინული ლოზუნგები, რომლებიც ფერმერების ბლოკადის დროს გამოჩნდა, არის მცდელობა, კონტროლი მოახდინონ საპროტესტო მოძრაობაზე იმ კუთხეებში, რომლებიც რუსეთის სადაზვერვო სამსახურის გაგზავნის ქვეშ არიან“, – წერია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. დოკუმენტის თანახმად, მთავრობა ასევე ღრმა შემოფოტებას გამოხატავს იმ ფაქტზეც, რომ ფერმერთა საპროტესტო აქციებზე პუტინის განდიდების ბანერებიც გამოჩნდა.

ბრიტანული სანქციები სიხის პალატიონოსნებს...

დიდმა ბრიტანეთმა აქტივები გაუყინა რუსეთის იმ ციხის მალაქჩინოსნებს, რომელშიც რუსი ოპოზიციონერი ალექსეი ნავალნი გარდაიცვალა. სანქციონებულთა სიაში არის ექვსი პირი, რომელთაც დიდ ბრიტანეთში ვიზიტის ეკრძალებათ.

„არავის უნდა ეპარებოდეს ეჭვი რუსული სისტემის მწავრულ ბუნებაში, სწორედ ამიტომ ჩვენ დღეს სანქციებს ვუწყებთ ციხის მალაქჩინოსნებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მის პატიმრობაზე იმ კოლონიაში, სადაც მან გაატარა ბოლო თვეები. ნავალნის მიმართ სასტიკი მოპყრობაზე პასუხისმგებელ პირებს არ უნდა ჰქონდეთ ილუზია – ჩვენ მათი პასუხისმგებლობის საკითხს დავაყენებთ“, – აღნიშნა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, დევიდ ქემერონმა.

ბრიტანეთის მთავრობა ასევე ითხოვს ალექსეი ნავალნის ცხედრის დაუყოვნებლივ გადაცემას მისი ოჯახისთვის, ამასთან, გამჭვირვალე გამოძიების ჩატარებას.

ჩხუბითა აპირიკას საქართველოს კრიმინალი მოქალაქე გადასცა!

ჩხუბითი ხელისუფლებამ შეერთებულ შტატებს გადასცა საქართველოს მოქალაქე, ფოლად ომაროვი, რომელიც რამდენიმე დანაშაულშია ეჭვმიტანილი, მათ შორის ნიუ-იორკში ირანელი ჟურნალისტის მკვლელობის დაგეგმვაში.

Radio Prague International-ის ინფორმაციით, კაცი გასული წლის იანვარში დააკავეს. მან ექსტრადიციის გადაწყვეტილება გაასაჩივრა, თუმცა საკონსტიტუციო ჩეხეთის იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტი ამბობს, რომ ფოლად ომაროვი დაეხმარა მასივ ალინეჯადის მკვლელობის მცდელობის ორგანიზებას, მის სახლში, ნიუ-იორკში. მას და ეჭვმიტანილ ბანდის ლიდერს რაფატ ამიროვს ბრალად ედებათ აშშ-ის მოქალაქის ხალიდ მუჰადიევის დაქორწინება და მისი მკვლელობისთვის 30 000 დოლარის გაგზავნა.

„17 წელი ვიყავი სიხეში, პერ შეჰაშინჯო, შეურაცხელი პერ!“

ხომის რაიონის სოფელ საჯიჯაოში, კაცი, რომელიც 17 წელი ციხეში იჯდა, ახლა სოფელს ატერორებს.



ადგილობრივების ცნობით, აღნიშნული პიროვნება ციხეში სასჯელს მძიმე დანაშაულებისთვის იხდიდა, შემდეგ კი ფსიქიკურად შეურაცხადის სტატუსი მიიღო. მათივე ცნობით, ის წლებია უკვე სოფლის მოსახლეობას აშინებს, ემუქრება, თანაოფელეებს უკანონოდ ართმევს მიწებს, აყენებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. ფეისბუქზე გავრცელებულ პოსტში, კახა ურიადმყოფელი წერს, რომ დაზარალებულია თსუ-ს პროფესორი, თამარ ქარაია და მისი დედა: „რასაც ახლა წაიკითხავთ, საშინელებათა ფილმის სცენარია არ გვერით! ეს ყველაფერი რეალურია და ჩემი და ბევრი თქვენგანის მეგობარი, თსუ-ს პროფესორი თამარ ქარაია ძალიან დიდ განსაცდელში და საფრთხეშია.“

თამარის მშობლიურ სოფელში (საჯიჯაო, ხომის რაიონი) ცხოვრობს კაცი, რომელიც 17 წელი იჯდა ციხეში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის, მათ შორის, არაერთგზის ყაჩაღობის ბრალდებით. ბოლოს სიმულანტობით მოიპოვა ფსიქიკურად შეურაცხადის სტატუსი (90-იანი წლების შესაძლებლობებით) და ასე გამოაღწია ციხიდან.

ამ შეურაცხადის სტატუსით მოიპოვა ხელშეუხებლობა, წლებია აშინებს და ავიწროებს სოფელს: ყველას, რიგით მოქალაქეს, საჯარო მოხელეს თუ ორგანოს თანამშრომელს ემუქრება, აყენებს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას! შეავიწროვა მეზობლები, წაართვა მათი კუთვნილი მიწა, შემოღობა ტერიტორიები უკანონოდ! ჰყავს მანქანა და ჩვეულებრივ გადაადგილდება! მიუხედავად არაერთი ადამიანის შევიწროებისა, წლების მანძილზე ვერაფერი გამგდა მის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა, იმიტომ რომ ყველას აშინებს ციხიდან გამოსვლის შემდეგ შურისძიებით!

მისი სტანდარტული ტექსტია – „17 წელი ვიყავი ციხეში, ვერ შემანინებთ, შეურაცხადი ვარ, დაეზრუნდები და დიდიან პატარაიანად გადაგწავთ“, „შუმს გაგიხვრეტ!“...

თამარის ასაკოვანი დედა, მისი უშუალოდ დარჩენილი ერთ-ერთი მეზობელია. მიუხედავად წლების მანძილზე უდიდესი ზეწოლისა, რაც მისი ნაკვეთების ღირსის მორღვევასა და პირუტყვის საბაღასოდ შემეგებაში გამოიხატებოდა, ბოლო 10 დღეში ყველაფერმა პიკს მიაღწია და ამ კაცმა პირდაპირ გადმოანგრია ღობე, შემორეკა საქონელი. ასევე, კატეგორიულად მოსთხოვა თამარს დაეთმო მისი ეზოს ნაწილი საქონლის გადასარეკად, რეალურად კი მიზანი თამარის ასაკოვანი დედის შევიწროება და იძულება, რომ საშოლოდო დათმოს სახლ-კარი.

მოვლენების პიკი 15 თებერვალი იყო, როდესაც პროვოკაციის მიზნით თამარის ჭიშკართან მიმოვანტა ნაკვეთი. თამარი შეეცადა შეწინააღმდეგებას, მაგრამ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაემუქრა რომ შუმსს გაუხვრეტს მასაც და დედამისსაც, რომ არავისი ამქვეყნად არ ეშინია (არსებობს ამის ჩანაწერი, ადასტურებენ მოწმეები, რომლებიც ამ დაპირისპირებას შეესწრნენ და მოხდნენ ამ ვიდეოჩანაწერში). ეს ყველაფერი ადგილზე მისულ პოლიციასთანაც გაიმეორა, პოლიციას მიაყენა სიტყ-

ვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. შეეცადა გაეცევა. პოლიცია ამჯერად იძულებული გახდა დაეკავებინა.

მისი სახლის ჩხრეკისას ამოიღეს სხვადასხვა იარაღი, მათ შორის პისტოლეტი, ტყვია-წაშალი, ხელყუმბარის და ავტომატის ნაწილები.

თამარის დედას ამ ყველაფრის ფონზე განუვითარდა ინფარქტი და ინსულტი და ახლა ზუგდიდის საავადმყოფოშია გადაყვანილი. წუხელ მისი მდგომარეობა ძალიან დამძიმდა. განუვითარდა პარალიზი და პარეზი. თამარს მართოს მოუწია გავეთვებინა ის, რაც საზოგადოებამ და სახელმწიფომ თავის დროზე არ გააკეთა და ამ უმოქმედობით ხელი შეუწყო ადგილზე ტერორის ბუდის მოწყობას.

ეს ტერორი ახლაც გრძელდება, ადგილობრივ მოსახლეობას სჭერა დამნაშავეს დაზრუნვის, დაპირებული შურისძიების და ამიტომ დუმილის ინარჩუნება. თამარი ახლა უნივერსიტეტში უნდა იყოს და არა საავადმყოფოში! ამ კაცის გარეთ ყოფნა არ შეიძლება! თამარს არ უნდა ეშინოდეს ხვალისდელი დღის! სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს! გთხოვთ ვისაც რაიმე შეგავლენა შეგიძლიათ ამ საქმეზე, იმოქმედეთ“, – ნათქვამია პოსტში.

შურამხადი მოქალაქე, ნასამართლავი არაკაცი, რადგანაც პოლიცია დააკავა, იმედია, საკადრისს მიუზღავენ და საშუალოდ იმ განაწესვენ, სადაც მისი ადგილია.

პირს, რომელმაც მკვლის მკვლელობა სცადა, 18-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს!

„სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2023 წლის 12 ივნისს, თბილისში ბრალდებულმა ხეთაგურაოვის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვდა მეგაღეს და იმ მოტივით, რომ ვალად აღებული თანხა უკან არ დაეზრუნებინა, ანგარებით მკვლელობის მიზნით დაზარალებულს დანით სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები მიაყენა. დროულად აღმოჩენილი სამედიცინო დახმარების შედეგად დაზარალებულის გადარჩენა მოხერხდა.“

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სსსხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის „ნ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობის მცდელობა, ანგარების მოტივით) წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 18 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“, – წერს პროკურატურა.

მოღიან 16, 17, 18 წლის ბავშვები, რომელთა ფსიქიკური მდგომარეობა კალიან მიიყვანა!

ბაღდაშაშვილი „პრაიმბოუ“ დამოკიდებულების კონსულტანტმა, გიორგი სარმაშამ ნარკოზომობარეგულთა მდგომარეობაზე ისაუბრა და რისკის შესამცირებლად ნარკოზომობარეგულთა ინფორმირების მნიშვნელობასა და აუცილებლობას გაუსვა ხაზი.

„ძალიან ბევრი წელი მომხმარებელი ვიყავი, დღეს ფიზიკური ვარ და ერთ-ერთი ცენტრში დამოკიდებულების კონსულტანტი ვარ, ჩემი ფესვიდან ნარკოზომობარეგულთა ხშირად მიწვევს ახალგაზრდა თაობასთან შეხება, რომლებმაც მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ თუ სამჯერ მოიხმარეს ქიმიური ნივთიერება და მათი ფსიქიკური მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ რაღაც საზღვარს გადავიდნენ და უკან ვეღარ გადმოვიან..“

სამწუხარო რეალობაა, რომ ძალიან ბევრი მეგობარი დაუკარგე მედოზინგით, უმეტესობა, ჩემი თაობის, ვინც გარდაიცვალა, ოპიოიდების მომხმარებელი იყო, ვინც ცოცხლები დავრჩით და გამოკანონებული გზაზე დავედეთ, ჩვენი ფსიქიკური მდგომარეობა მეტ-ნაკლებად სტაბილურია.. მოდიან 16, 17, 18 წლის ბავშვები, რომელთა ფსიქიკური მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ მათთან უშუალოდ ურთიერება.

ონსაბათიანი, ზოგჯერ 20 წუთიანი, ვითომ ილუზორული (მაცდუნებელი) სიამოვნების გამო, შეიძლება 30-წლიანი ცხოვრების სიამოვნება დაკარგო. გამოსავალი ყოველთვის არსებობს, განკურნება ნიშნავს, რომ მთელი ცხოვრება გამოკანონებული გზაზე ვიქნები, უბრალოდ, 20 წლის მერყე, ერთი მოხმარებაც დამაზრუნებს უკან, ჩემთვის ერთი მოხმარებაც აღარ არსებობს.“

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე

ვიქტორია სირაძე



და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.


ნათელა ვასაძე, ნათელა ლალიძე, ლია ლომიძე, მადონა მგელაძე, ლამარა გაგუა ღრმა მწუხარებით იუწყებიან სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, უახლოესი მეგობრის

ვიქტორია სირაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

უზანგი კაპანაძის არდაპინყება

მეუღლე ლამარა გიორგაძე, შვილი კახა კაპანაძე, რძალი ხათუნა ცინცაძე, შვილიშვილები გიორგი და ლუკა, დედამამიშვილები ეკა სალირაშვილი და ინეზა მატარაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მეუღლე, მამა, ბაბუა და დედამამიშვილი



უზანგი ვლადიმერის ძე კაპანაძე

ღრმა მწუხარებითა და დიდი გულისტკივილით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ 87 წლის ასაკში გარდაიცვალა საქტელერადიოს სახელმწიფო კომიტეტის, ტელევიზიის (პირველი არხის) ვეტერანი თანამშრომელი, 1971-1991 წლებში ტელევიზიის ლიტერატურულ გადაცემათა რეჟისორი, ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი, დახვეწილი ინტელიგენტი უზანგი ვლადიმერის ძე კაპანაძე, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს გაჰყვება თითოეულ ჩვენგანს.

ემზარ კვიტაიშვილი, გიორგ ზარნაძე, ივანე ამირხანაშვილი, ბაღათიერ არაბული, ნოზალი გართაია, ზაალ ზოტაშვილი, ჯემალ დავლიანიძე, გემუკა ვაშაკიძე, გური ოტოზაია, სპარტაკ ქოშულია, ვანო ჩხიკვაძე.

სასკოლო ავტოპუსი ფონიჭალაში აპირიკაში მოკვდა

– ინფორმაციას სოციალურ ქსელში გავრცელდა.

„კიდევ ერთი ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ფონიჭალაში, საზღვარიდან გავედით არ ისხდნენ ამ ავტომბუსში, არავინ დაღუპულა, თუმცა არიან დაზარალებული.“

იანეთ ფრთხილად, ნუ შეუქმნით თქვენ თავს და სხვებს საფრთხეს! – წერია გავრცელებულ ინფორმაციაში.





რუსთაველაში ქორეოგრაფიული ფესტივალისთვის მზადება

რუსთაველაში ქორეოგრაფიულ ფესტივალ „ქართულს“ უმასპინძლებს. კონკურს-ფესტივალის რუსთაველის მერიის ორგანიზებით, აპრილის მო-
ლოს გაიხსნება.

ფესტივალ „ქართულს“ შესახებ რუსთაველის მერიამ პრეზენტაცია გა-
იმართა. ქალაქის მერმა ნინო ლაცაბიძემ, სახელოვნებო დეპარტამენ-
ტის ხელმძღვანელ ხატია ფოცხვერაშვილთან ერთად, რუსთაველაში მოქ-
მედი ქორეოგრაფიული სტუდიებისა და ანსამბლების ხელმძღვანელებს,
ფესტივალის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და მათი მო-
საზრებები მოისმინა. კონკურს-ფესტივალის – „ქართული“, რუსთაველაში წელს
პირველად ჩატარდება და ამჯერად მასში რუსთაველისა და ქვემო ქარ-
თლის სხვა მუნიციპალიტეტებში მოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლები
მიიღებენ. საფესტივალო სივრცე და სცენა რუსთაველის თეატრის სვერში
მოეწყობა. „ქართულს“ საკონკურსო ნაწილი 6 დღე გაგრძელდება და
მე-7 დღეს, გალა კონცერტით დასრულდება. ათ სხვადასხვა ნომინაცი-
აში გამარჯვებულებს, ფესტივალის სპეციალური ჟიური გამოავლენს, სა-
უკეთესო მონაწილე ანსამბლი კი გარდამავალი გრან-პრიით დაჯილდოვდება.
„ქართულს“ საფესტივალო სივრცეში, ერთი კვირის განმავლობაში მოწყო-
ბილი იქნება ეთნოგრაფიული, სამრეწველო და კულინარიული კუთხე-
ები, გაიმართება ხელნაკეთი ნივთების გამოფენა.

ქართული აპიაცია – გამრიკი საქმელების ფესტივალის პარტნიორი



„საქართველოს აეროპორტ-
ების გაერთიანება, უკვე მეორედ
უერთდება გემო ფესტს და ქუ-
თაისის შემდეგ, ტურნიმის ეროვ-
ნულ აღმშენებლობისთან ერთად,
ამჯერად მესტიაში უმასპინძლობს.
მესტიის აეროპორტის განვითარ-
ებასთან დაკავშირებით ჩვენ საუ-
ბოდ დიდი და ამბიციური გეგ-
მები გვაქვს. გასტრონომიულ
ფესტივალთან დაკავშირებით
აეროპორტების გაერთიანებამ 4
რეისი დაამატა, რაც ხელს შე-
უწყობს შიდა და საერთაშორისო

მოგზაურების ნაკადების ზრდას
ფესტივალზე დასასწრებად. შეგ-
ხედებით მესტიაში“, – აცხადებს
აეროპორტების გაერთიანების გენ-
დირექტორი ირაკლი ქარქაშაძე.

24-25 თებერვალს, გემო ფეს-
ტი მესტიის ცენტრში გაიმართება,
სადაც შეფების და ადგილობრი-
ვი მზარეულების მიერ სვანური კუ-
ლინარიის ახლებური ხელება იქნება
წარმოდგენილი. პროექტის მიზანია
რეგიონებში გასტრონომიული ტუ-
რიზმის ხელშეწყობა, ადგილობრივი
სამზარეულოს პოპულარიზაცია, მე-
წარმეების/ოჯახების წახალისება,
შიდა და საერთაშორისო ტურიზ-
მის სტიმულირება. ფრენები იწარ-
მოებს ნატახტარი-მესტიის მიმარ-
თულებით და პირიქით.

ჯაზეერის სიურპრიზი – ფრენები ელ-ქუვეითიდან ბათუმამდე

„Jazeera Airways“-მა საქართველოს ავიაგზამზარეულებს 2018
წელს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაიწყო, მას შემდეგ,
რაც საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ ავიაკომპანიასთან
ორწლიანი მოლაპარაკებები წარმატებით დაასრულა. ჩვენ მუდმი-
ვად ვაგრძელებთ ავიაკომპანიებთან კომუნიკაციას და თანამშრომ-
ლობას, რათა მეტი მიმართულება და მეტი სიხშირე შევთავაზოთ ჩვენს
მგზავრებს. შედეგად, ავიაკომპანია 14 ივნისიდან 16 სექტემბრის ჩათვლით
ელ-ქუვეითი-ბათუმი-ელ-ქუვეითის საჰაერო ხაზზე ფრენებს ყოველ-
დღიურად შეასრულებს“, – განაცხადა ირაკლი ქარქაშაძემ.

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ინფორმაციით,
თბილისის შემდეგ ბათუმი იქნება საქართველოში მეორე მიმარ-
თულება, სადაც Jazeera Airways-ი, კვირაში შვიდი სიხშირით,



მათხულის ტურის-
ტულ სემონზე იფ-
რენს. ქუვეითიდან
საქართველოს 2023
წელს 77 392 მგზავ-
რი ეწვია. სპარსეთის
ყურის ქვეყნებიდან
კი საქართველოში
გასულ წელს, ჯამში,
1 094 695 მგზავრი
ჩამოვიდა.



ქვეყნის მეთაურმა საქართველოს პირ მოარჯულა


შტატში საიდუმლო სამსახურის ახალი
შიდა დოკუმენტების მიხედვით, პრეზიდენტ
მაილენის ძალაში, სახელად კომანდერი, აშშ-
ს საიდუმლო სამსახურის პერსონალი სულ
მცირე ოცდაოთხეურო დაკმა. ეს მოხდა თეთრ
სახლში და სხვა ადგილებში.

ეს რიცხვი არ მოიცავს დამატებით ინცი-
დენტებს, რომლებზეც მედია ადრე იტყობი-
ნებოდა.

წლის ნარკობული ქალები

შურნალმა TIME 2024 წლის ქალების
სია გამოაქვეყნა. როგორც გამოცემის ვებ-
გვერდზე აღნიშნული, სიაში მოხვდა 12
„ლიდერი, რომლებიც უფრო თანასწორუფ-
ლებიანი სამყაროს შექმნას ცდილობენ“.

სიაში მოხვდნენ: „ბარბის“ რეჟისორი გრეტა
გერვეგი, ჩოგბურთელი კორი გაუფი, Chanel-
ის გენერალური დირექტორი ლინა ნაირი,
ნომლის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარ-
გში კლაუდია გოლდინი, ერაყელი უფლე-
ბადამცველი ნადია მურადი, ისრაელელი და პალესტინელი ქალები,
რომლებიც ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის მხარეებს მშვიდობისკენ
მოუწოდებენ და სხვები. სიისადმი მიძღვნილ Time-ის სპეციალური გა-
მოცემის განვრცობა გერვეგის ფოტოა მოთავსებული. Time-ში აღნიშ-
ნავენ, რომ ის პირველი რეჟისორი გახდა, რომლის პირველმა სამმა
მხატვრულმა ფილმმა მიიღო ნომინაციები ოსკარზე. ესენია: „ლედი ბერდი“,
„პატარა ქალები“ და „ბარბი“. შურნალი გაყიდვაში 11 მარტს გამოვა.



მსოფლიოს ყველაზე მაღალი ბაბაქასი სოლს კეპს



სულთან ქოსანი,
მსოფლიოში ყველაზე
მაღალი ადამიანი,
რომელიც სიმალეში
2 მეტრი და 51 სმ-ია
სოციალურ მედიაში
ვლად გავრცელდა, თუ-
ცა ამჯერად სიყვარუ-
ლის საპოვნელად.

გიგანტი მამაკაცი
თავის უზვეულო სიმაღ-
ლეს არ ეჩაგვრინება და უკვე 120-ზე მეტ ქვეყანას ეწვია, იმუშავა
ფერმერად, ცირკის მსახიობად და საპატიო ელჩადაც კი მშობლი-
ურ თურქეთში.

ან ასრა, ან სიხა და სოლიდური ჯარიმა!!!

საფრანგეთის პარლამენტმა დაამტკიცა კანონი, რომელიც ჯა-
რიმებს ან თავისუფლების აღკვეთას აწესებს მათთვის, ვინც mRNA
LNP ვაქცინებს ან სახელმწიფოს მიერ რეკომენდებულ სხვა მკურ-
ნალობას გააკრიტიკებს.

კანონის მიხედვით, ისეთი თერაპიული მკურნალობის კრიტიკა, რო-
მელიც სახელმწიფოს მიერ სავალდებულოდ ან რეკომენდებულად
იქნება მიჩნეული, შესაძლოა, სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით
ან 45 000 ევროს ოდენობის ჯარიმით დაისაჯოს. კანონის მიღებას
პარლამენტში დებატები მოჰყვა. კრიტიკოსებისა და სამედიცინო სფეროს
წარმომადგენელთა ნაწილის მოსაზრებით, კანონი ძირს უთხრის დე-
მოკრატიულ პროცესებს და სოციალურ უწყსრიგობას გამოიწვევს.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS
REPUBLIKA

ა.გ.მ.რ.მ.რ. №116 (მ.დ.გ.მ.რ. პ.ს.ს.)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
მამუკა მამუკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემომცემადგენითი
ჯგუფი:

ალექსანდრეშვილი
გია ალექსანდრეშვილი
ოთარ ტურაბაიძე

სტილისტ-
კორექტორები:
ნაირა კიკელია,
მანია იორაბაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17

rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:

შპს 100 – ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იკავდება სტამბა

„ქოლორი“

ი. პალდაშვილის №3

„კოდორი“
ჯგუფი

uac(უაქ)070.4(479.22)
ს-323



2 009882 616932

ავტორთა

საგუარაუდოებო!

რედაქციის მხარ

შეუძვეთავი მასალა

დაიკავდება

ავტორთა ხარჯით.

გაზეთის
მომცემელი
ნომერი
გამოვა
ორშაბათს,
26 თებერვალს

საქართველოს პარლამენტი	უწყებები
პრეზიდიუმი - 2.6505; პარტი - 2.8774;	პრეზიდიუმი - 2.6505; პარტი - 2.8774;
ბრძანაწერი პირდაპირ სტრუქტურა - 3.3608;	ბრძანაწერი პირდაპირ სტრუქტურა - 3.3608;
100 რეგული - 2.8612; თერაპიული ლირა - 0.0856;	100 რეგული - 2.8612; თერაპიული ლირა - 0.0856;
პარლამენტის მხარე - 1.5585;	პარლამენტის მხარე - 1.5585;
1000 სოციალური ღირსი - 6.5678	1000 სოციალური ღირსი - 6.5678

აპრილი 23	თებერვლისთვის
ალექსანდრეშვილი	ალექსანდრეშვილი
პარტი - ლამა	0, ლამა +11
პარტი - ლამა	-2, ლამა +9
ალექსანდრეშვილი	ალექსანდრეშვილი
პარტი - ლამა	+3, ლამა +15
პარტი - ლამა	-5, ლამა +5
თბილისი:	ლამა +4, ლამა +11

დაგვირგვინი, მოგზაურები:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge